ჩემპიონატი

თბილისის დინამოელებმა მოიგეს სარევანშო მატჩი

(ლენინგრადი, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

27 აგვისტოს **თბილისის დინამოელებმა** მორიგი მატჩი სსრკ პირველობაზე ფეხბურთში ჩაატარეს **ლენინგრადის** სტადიონზე ამავე ქალაქის **"ელექტრიკთან"**.

შეჯიბრებას, რომელიც სპორტულად საინტერესო იყო, დაესწრო 30.000 მეტი მაყურებელი. პირველი ბურთი ტაიმის პირველსავე წუთზე თბილისელთა კარში გაიტანა არტემევმა. მიუხედავად მწვავე ბრძოლისა,28-ე წუთამდე ანგარიში არ შეცვლილა. 28-ე წუთზე კუთხური დარტყმით ხარბედია ათანაბრებს ანგარიშს, ხოლო 36-ე და 39-ე წუთზე პაიჭაძისა და ბერეჟნოის ძლიერი შუტებით ორჯერ ირხევა "ელექტრიკის" ბადე. შეჯიბრების პირველი ნახევარი მთავრდება თბილისელთა სასარგებლოდ (3:1).

მეორე ტაიმში კვლავ ლენინგრადელები ხსნიან ანგარიშს (ლემეშევი), ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ კი პაიჭაძეს გააქვს 2 ბურთი.

სარევანშო მატჩი სსრკ პირველობაზე ლენინგრადის "ელექტრიკთან" დამთავრდა თბილისის "დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებით, ანგარიშით – 5:2.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 28 აგვისტო, 1939 წ.